23/01/2019

სამების საკათედრო ტაძარში 57-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა

ა.წ. 20 იანვარს წმ. სამების საკათედრო ტაძარში ჩვილთა 57-ე საყოველთაო ნათლობა ჩატარდა. ამჯერად მისი უწმინდესობის ნათლული 600-ზე მეტი ბავშვი გახდა.

დღეისთვის სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქს 37800-ზე მეტი ნათლული ჰყავს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს არის ბედნიერი დღე. მოინათლა 600 ბავშვზე მეტი და ქრისტეს მხედრიონს მიემატა. მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს.

ღმერთმა დალოცოს ჩემი ნათლულები, მათი მშობლები და და-ძმები.

თქვენ იცით, რომ საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა, ეს ბავშვები და მთელი საქართველო არის ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ. ეხლა ერთად ვთქვათ ,,მოწყალებისა კარი განგვიღე“.

,,მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა. ამინ!“

ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ გამყოფოთ მამაზეციერმა თქვენ და სრულიად საქართველო.

ჩვენთან არს ღმერთი!